ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №528257

ნომერი: AR199227

თარიღი : 19.12.2012

გაცემის თარიღი : 01.02.2013

გაცნობის თარიღი : 09.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რობიზონ გეთიაშვილი პ/ნ 01014005996
- თბილისი, ლ.ანდრონიკაშვილის ქ. N23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 01 ივნისის #744 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

მოქალაქეებმა რობიზონ გეთიაშვილმა, დავით თაბაგარმა და შოთა თაბაგარმა 2012 წლის 16 ნოემბრის #AR199227 განცხადებით მომართეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვეს #744 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებების შეტანა ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 01 ივნისს ქ.თბილისში, ვაკე–

საბურთალოს რაიონში, ჯიქიას ქ. #6–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (3986.00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი #01.14.05.008.005) შპს "ფარმინა"–ს ადმინისტრაციული შენობის აშენების მიზნით გაიცა #744 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული პირობების საფუძველზე საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებელები ითხოვენ სამსახურის 2011 წლის 01 ივნისის #744 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საპროექტო ობიექტზე ახალი ფუნქციის – დამხმარე ნაგებობის (მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვით ავტოსადგმი და ზამთრის ბაღი) დამატებას.

სამსახურის ზემოაღნიშნული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები გაცემულია საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სადაც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, შესაძლებელია განთავსდეს დამხმარე ნაგებობა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 2011 წლის 01 ივნისის #744 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 01 ივნისის #744 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფუნქციად მიეთითოს: " შპს "ფარმინა"–ს ადმინისტრაციული შენობა და დამხმარე ნაგებობა (მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვით ავტოსადგმი და ზამთრის ბაღი)".
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 01 ივნისის #744 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.